SHELER LLC

შპს შელერი

#28/12/18-1

28.12.2018

საქართველოს გარემოს დაცვისა
და სოფლის მეურნეობის მინისტრს,
ბატონ ლევან დავითაშვილს

ბატონო ლევან,

მოგახსენებთ, რომ ამა წლის 2018 წლის 10 სექტემბერს (რეგისტრაციის #11512, 10.09.2018), შპს შელერმა შემოიტანა განცხადება გუბაზეული 6 ჰესის სკოპინგის ანგარიშის ჩაბარებასთან დაკავშირებით. გუბაზეული 6 ჰესი მდებარეობს გურიის რეგიონში, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მდ. გუბაზეულზე. პირველადი სკოპინგის ანგარიში ითვალისწინებდა მდინარის ენერგეტიკული პოტენციალის ათვისებას 529.0-440.0მ ნიშნულებს შორის, რის თანახამდაც მოხდა საპროექტო არეალის კვლევა და შესაბამისად, წარმოგედგინათ სკოპინგის ანგარიშიც. აღნიშნულთან დაკავშირებით ჩატარდა საჯარო განხილვა ამა წლის 23 ოქტომბერს, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, სოფელ ქვაბღას სკოლის შენობაში.

თქვენი 2018 წლის 15 ნოემბრის წერილის #10032/01-ის თანახმად, გაირკვა, რომ მოხდა სს „ზოტი ჰიდრო"-ს მიერ წარდგენილი „ზოტის ჰესების კასკადის" სადწნეო მილსადენის და ჰესის შენობის ტერიტორიის 700 მეტრიანი მონაკვეთის ურთიერთგადაფარვა გუბაზეული 6 ჰესის სათავე ნაგებობის და სადერივაციო მილსადენის ტერიტორიასთან.

კომპანიის მიერ მოხდა აღნიშნული ფაქტის შესწავლა და შეჯერება სს „ზოტი ჰიდრო"-სთან. ურთიერთშეთანხმების შედეგად, შპს შელერმა მიიღო გადაწყვეტილება შეამციროს საპროექტო არეალი (510.6-440.0მ ნიშნულებს შორის), რაზეც წერილობით მიმართა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინსიტროს ამა წლის 20 დეკემბერს.

აღნიშნული ცვლილების საფუძველზე, გარდა იმისა, რომ აღმოიფხვრა პროექტების ურთიერთგადაფარვის პრობლემა, მოხდა პროექტის ზემოქმედების არეალის შემცირებაც.

იქიდან გამომდინარე, რომ კომპანიის მიერ სრულფასოვნად იყო შესწავლილი საპროექტო ტერიტორია და სათავე ნაგებობის ცვლილებით (529.0მ ნიშნულიდან დაიწია 510.6მ ნიშნულზე) არ ხდება რაიმე პროცესების გააქტიურება, მიზანშეწონილად მიგვაჩნია წარმოდგენილი დაზუტებული სკოპინგის ანგარიშის და საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" მე-9 მუხლის საფუძველზე შპს „შელერი"-ს სახელზე გასცეთ სკოპინგის დასკვნა.

დანართი: სკოპინგის ანგარიში (ბეჭდური ვერსია)
სკოპინგის ანგარიში (ელ. ვერსია)
შეიფ ფაილი

პატივისცემით,

ლევან შველიძე

შპს „შელერი"-ს დირექტორი

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი
№ 17258
"28" 12. 2018
1 ფ.
+ 03 +